PAYROLL-ის პრაქტიკული კურსი: სრული ციკლი გამოთვლებიდან რეპორტებამდე

ლექტორი

ლელა კეკუა
სოფო კაჭარავა

კურსის დრო

12 შეხვედრა
სალექციო შეხვედრები - 15 საათი
პრაქტიკული სამუშაოები - 16 საათი

სასწავლო კურსის მიზანი

კურსის მიზანია მონაწილეებს მისცეს პრაქტიკული ცოდნა და უნარები Payroll-ის (შრომის ანაზღაურების) სისტემის დაგეგმვის, გამოთვლისა და მართვის შესახებ. მონაწილეები გაიცნობენ Payroll-ის სრულ ციკლს - შემომავალი დოკუმენტაციიდან საბოლოო ანგარიშსწორებამდე, ისწავლიან ხელფასის კომპონენტების სტრუქტურირებასა და კანონმდებლობის გათვალისწინებას. შექმნიან მათ სპეციფიკაზე მორგებულ და ავტომატურ გამოთვლებზე დაფუძნებულ Payroll ფაილს Excel-ში, ასევე გამოიყენებენ ამ ფაილს პრაქტიკული დავალებების დროს.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: PAYROLL-ის საფუძვლები და HR ადმინისტრაცია

- HR ადმინისტრირება და Payroll
- Payroll-ის პროცესის სრული ციკლი
- შემავალი დოკუმენტაციისა და ელემენტების მიმოხილვა
- Payroll-ის კანონთან შესაბამისობა და ძირითადი პრინციპები

ლექცია 2: EXCEL HR-ისა და PAYROLL-ისთვის

- მონაცემების შექმნა და ფორმატირება
- ძირითადი ფორმულები მონაცემების დამუშავებისთვის (SUM, IF, ROUND, VLOOKUP/XLOOKUP, Index/Match, Importrange)
- PivotTable შესავალი

ლექცია 3: PAYROLL მოდელის შექმნა - პრაქტიკული შეხვედრა

- Payroll შაბლონის შექმნა ავტომატური გამოთვლებით
- თარიღები და თარიღების ფუნქციები (TODAY, NOW, DATE, DAY, MONTH, YEAR, WEEKDAY, WEEKNUM, DATEDIF, EOMONTH)

ლექცია 4: PAYROLL სტრუქტურები და სამართლებრივი ჩარჩო

- ხელფასის კომპონენტების წარმოება (შეჯამება ტაბელის სახით)
- დანამატები, ზეგანაკვეთური, ბონუსები, შეღავათები
- შრომის კოდექსის და საგადასახადო კოდექსი მიმოხილვა

ლექცია 5: PAYROLL გამოთვლები - ძირითადი შემთხვევები

- Payroll-ის სრული გამოთვლა
- გადასახადები, სოც. შენატანები
- შვებულება, ავადმყოფობა

ლექცია 6: რთული PAYROLL შემთხვევები

- კონტრაქტორების ანაზღაურება
- ნაწილობრივი განაკვეთის ანაზღაურება
- ბონუსების კონტროლი
- საბოლოო ანგარიშსწორების საკანონმდებლო განსაზღვრება და წარმოება
- საბოლოო ანგარიშსწორება გათავისუფლებისას

ლექცია 7: PAYROLL მოდელის დახვეწა - პრაქტიკული შეხვედრა

- ფაილების კონსოლიდაცია და საბოლოო კალკულაციის აწყობა
- Pivot Table Payroll რეპორტი

ლექცია 8: PAYROLL პროცედურის შექმნა

- HR პოლიტიკებისა და პროცედურების მნიშვნელობა
- გზა HR პოლიტიკებისა და პროცედურების შექმნიდან დანერგვამდე
- შრომის ანაზღაურების დაანგარიშების (Payroll) პროცედურა

ლექცია 9: შრომითი კოდექსი

- შრომის კოდექსის ფუნდამენტური პრინციპები

ლექცია 10: პრაქტიკული WORKSHOP

- დავალებების განხილვა
- პრაქტიკული სავარჯიშოები

ლექცია 11: PAYROLL DASHBOARD-ების შექმნა და ანალიტიკა

- Payroll ხარჯების ანალიზი და კონტროლი
- პროდუქტიულობისა და ზეგანაკვეთური დროის ანალიზი
- Payroll-ის საკვანძო მაჩვენებლები და მენეჯერული ხედვა

ლექცია 12: ფინალური გამოცდა

სასწავლო კურსის შედეგები

კურსის მსმენელები შეძლებენ:

- Payroll-ის სრული ციკლის მართვას - დოკუმენტაციიდან საბოლოო ანგარიშსწორებამდე;
- ხელფასის ძირითადი კომპონენტების სწორად გამოთვლას (ფიქსირებული, დანამატები, ზეგანაკვეთური, ბონუსები, შვებულება, ავადმყოფობა);
- Payroll პროცესის კანონთან შესაბამისობაში მართვას;
- Excel / Google Sheets-ში Payroll მოდელის შექმნას და ავტომატიზაციას;
- მონაცემების კონსოლიდაციას და მრავალფაილიან სისტემებთან მუშაობას;
- Payroll პროცესის სიზუსტის კონტროლს და მონაცემების ვალიდაციას;
- Payroll რეპორტებისა და Dashboard-ების მომზადებას;
- რთული შემთხვევების მართვას (კონტრაქტორები, ნაწილობრივი განაკვეთი, საბოლოო ანგარიშსწორება);
- Payroll პროცესის სტანდარტიზაციას და შესაბამისი პროცედურის შექმნას;
- HR ადმინისტრირებასთან Payroll-ის კავშირის გააზრებას.

ლექტორების შესახებ

ლელა კეკუა

- ლელა კეკუა - ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების 15 წლიანი სამუშაო გამოცდილებით;
- მისი კარიერა ადამიანური რესურსების მიმართულებით კომპანია „Caucasus Online“-ში დაიწყო შერჩევის მენეჯერის პოზიციაზე;
- მუშაობდა ასევე კომპანია „ICR“-ში, ტრენინგებისა და კარიერული განვითარების მენეჯერის პოზიციაზე;
- მომსახურების სფეროში 8 წლიანი სამუშაო გამოცდილების შემდეგ, ის ხელმძღვანელობდა „საქართველოს რკინიგზის“ ადამიანური რესურსების

დეპარტამენტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს დამსაქმებელს;

- „საქართველოს რკინიგზა“-ში მუშაობის პერიოდში კურირებდა პროფესიული განათლების პროექტს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯთან თანამშრომლობით;
- უმუშავია „აჭარა ჯგუფი“-ს ადამიანური რესურსების მართვის კონსულტანტის პოზიციაზე;
- ამ ეტაპზე ლელა წარმოადგენს საერთაშორისო კომპანია „IBA Group“-ს საქართველოს ოფისს;
- ლელასთვის მნიშვნელოვანია, როგორც საკუთარი განვითარება, ასევე სტუდენტებისთვის ახალი გამოცდილების გაზიარება, მათი პროფესიული ზრდისა და სირთულეების გადალახვის ხელშეწყობა.

სოფო კაჭარავა

- ბიზნეს საკონსულტაციო და მომსახურების კომპანია SMART Support-ის პარტნიორი, განვითარების მიმართულების ლიდი;
- 5 წლიანი სამუშაო გამოცდილებით HR-ში შერჩევის მიმართულებით.
- იცნობს IT & Tech Recruitment-ის პრინციპებს;
- მუშაობდა სხვადასხვა ინდუსტრიის წარმომადგენელ კომპანიებთან და იცნობს მათ სპეციფიკებს;
- გარდა ძირითადი საქმიანობისა, მუშაობდა პროცესების გაციფრულებასა და ოპტიმიზაციაზე;
- აქვს მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის ბაკალავრის ხარისხი.